

დანართი # 1

ქვემოთ მოყვანილი ისტორიები ეფუძნება კვლევაში მონაწილე რესპონდენტების პირად გამოცდილებას. ისტორიების მომზადების დროს დაცულია რესპონდენტების კონფიდენციალობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი სახელები და ასევე ყველა პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მახასიათებელი შეცვლილია. ისტორიები გამოყენებულია რესპონდენტების თანხმობის შედეგად. ისტორიები ინდივიდუალურ აღქმებს ეფუძნება და არ ექვემდებარება განზოგადებას.

ისტორია # 1 - მადონა

მადონა დაიბადა და გაიზარდა ექიმისა და საჯარო მოსამსახურის ოჯახში, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში. ოჯახური წარმომავლობით იგი საბაზისო ფენას მიეკუთვნება. მისი ოჯახი არ ფლობდა/ფლობს დიდი რაოდენობით ფინანსურ და სოციალურ კაპიტალს, მაგრამ ცდილობდა შვილებისთვის კარგი განათლება მიეცა. მადონას შესაძლებლობა ჰქონდა დაემთავრებინა კერძო სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტი თბილისში, ხოლო მოგვიანებით, მაგისტრატურა ერთ-ერთი ევროპული ქალაქის უნივერსიტეტში, რამაც შესაძლოა გამოიწვია მისი, როგორც პროფესიონალის მაღალი თვითშეფასების ჩამოყალიბება.

მადონა თვლის, რომ კომპეტენტური და პროფესიონალია - კარგად აქვს ის უნარები განვითარებული, რომელიც მისი პროფესიის ადამიანისთვის არის საჭირო. მას მიაჩნია, რომ კომპეტენტურობასთან ერთად, კრიტიკული და პირდაპირი საჯარო მოსამსახურეა. განათლების მიღების პარალელურად, მადონა დასაქმდა ჯერ ფინანსთა, ხოლო შემდეგ იუსტიციის სამინისტროში. ამ უკანასკნელში საკმაოდ დიდი ხანი გაატარა უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომელიც დატოვა მისივე განმარტებით, განვითარების შესაძლებლობის არ ქონის გამო. როგორც მან მოგვითხრო, ორი წლის განმავლობაში პირდებოდნენ დეპარტამენტის უფროსის მოადგილეობას, მაგრამ ამაოდ. ამ ყველაფრის შემდეგ ის სამუშაოდ გადავიდა ერთ-ერთ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციაში. მისი გამოცდილება, საჯარო სამსახურიდან წასვლის მოვლენა, რესპონდენტმა საჯარო სამსახურში არსებულ გენდერული უთანასწორობის მოვლენას დაუკავშირა. მისი თქმით, მოგვიანებით დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა ბიჭი, რომელსაც კომპეტენციით ამავე დეპარტამენტში მომუშავე ყველა სხვა დანარჩენი ქალი საჯარო მოხელე აღემატებოდა, მაგრამ მინისტრის მოადგილესთან მეგობრობისა და მისი სქესის გამო მაინც ის დააწინაურეს.

მადონას თქმით, თუ ქალს საჯარო სამსახურში დაწინაურება სურს, ის აუცილებლად მომთმენი, მორჩილი და მლიქვნელი ადამიანი უნდა იყოს. ამავე დროს, არ უნდა იყოს კრიტიკული და პირდაპირი, როგორც თავისივე შეფასებით, თავად მადონა აღმოჩნდა. მისი თქმით, რეგიონიდან ჩამოსული გოგოც დააწინაურეს თავის ყოფილ სამსახურში, რომელსაც არც სოციალური კაპიტალი ჰქონდა და არც ძალაუფლება, უბრალოდ მორჩილი და მლიქვნელი გოგო იყო და მინისტრთან გასაუბრებაზე, მადონასგან განსხვავებით, ამ გოგომ პირდაპირობა და კრიტიკულობა არ გამოამჟღავნა, რის გამოც დაწინაურდა.

ისტორია # 2 - ელენე

ელენე დაიბადა ჰედაგოგი დედისა და ფიზიკოსი მამის ოჯახში, თბილისის ცენტრში და სკოლაც იქვე დაამთავრა. მისი ოჯახური წარმომავლობა საშუალო კლასსა და საბაზისო ფენას შორის მერყეობს. საშუალება ჰქონდა ესწავლა ჯერ თბილისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ პირველი პროფესიიდან გამომდინარე, აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, რის შემდეგაც შეიცვალა მიმართულება და მაგისტრატურა სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ერთ-ერთ ქართულ უნივერსიტეტში დაამთავრა, სადაც აქტიური სტუდენტობისა და მცირე სოციალური კაპიტალის დაგროვების შედეგად (მისი ლექტორები მუშაობდნენ საჯარო სამსახურში), შეძლო მიეღო ინფორმაცია საჯარო სამსახურში არსებულ ერთ-ერთ ვაკანსიაზე, რომელიც გასაუბრების საშუალებით გადალახა და 24 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა - განდა საჯარო მოხელე.

ელენეს გამოცდილება სამი მიმართულებით არის მნიშვნელოვანი:

ერთი, როგორც სხვა თანამშრომლებთან შედარებით ასაკით ჰატარა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არ ჰქონდა მალალი თვითმეფასება და ეგონა, რომ სამუშაო გამოცდილების არ ქონის გამო კომპეტენტური არ იყო, ამიტომ ხშირად უწევდა დირექტორის მხრიდან მისკენ მომართული ჩაგვრის მოთმენა და შეურაცხმყოფელ სამუშაო გარემოსთან შეგუება, რომლის გამოც ვერ ახერხებდა არგუმენტების მოფიქრებასა და თავის დაცვას, რის გამოც ხშირად დაბნეული და არაკომპეტენტური ჩანდა.

მეორე, როგორც ფიზიკური კაპიტალის მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც უწევდა თავი დაეღწია საჯარო სამსახურში არსებული კულტურული პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც ლამაზი ქალები ჭკვიანები არ არიან. მისი თქმით, სასიამოვნოდ თუ გამოიყურები, უფრო ნაკლები წარმოადგენა აქვთ შენზე. ლამაზი თუ ხარ, უჭკუოდ აღგიქვამენ და ნაკლებად გისმენენ. შესაბამისად, მცირე საშუალება გაქვს კარიერული წინსვლისა და წარმატების.

და ბოლოს, **მესამე**, როგორც ახალგაზრდა ქალს, მას ხშირად უწევდა, ე.წ. „ჩაქრობის“ ფენომენის გადატანა საჯარო სამსახურში. მისი აზრით, კაცები სიტყვიერად ხშირად უჭერენ ერთმანეთს მხარს, მათი აზრი უფრო დაფასებულია დისკუსიებისა და განხილვების დროს, კაცები ერთმანეთს უფრო მეტად ენდობიან და ქალებიც უფრო მეტად კაცებს ენდობიან. ელენეს თქმით, შესაძლოა სამსახურის საქმის განხილვისას ახალგაზრდა ქალიც იგივეს ამბობდეს რასაც კაცი, ან უფრო სასარგებლო და ჭკვიანურ განცხადებასაც აკეთებდეს, მაგრამ არ მიაქცევენ ყურადღებას და ჩააქრობენ. ამის საპირისპიროდ, ასაკით დიდმა კაცმა, ან ზოგადად კაცმა, თუ რაიმე თქვა, თუნდაც „სისულელე“, უფრო უჯერებენ და ენდობიან. მისი თქმით, როდესაც ახალგაზრდა, ძალაუფლების არმქონე ქალი საჯარო მოხელე ხარ, ასახელებ არგუმენტს და გინდა შენი მოსაზრება გაიტანო, საუბრის დროს თვალს გარიდებენ და ასე გაქრობენ, რის გამოც შესაძლოა ახალგაზრდა ქალმა წლები მოანდომოს დაწინაურებას, ან წარმატების მიღწევას.

ისტორია # 3 - თინა

თინა დაიბადა ფარმაცევტი დედისა და ინჟინერი მამის მრავალშვილიან ოჯახში, თბილისის გარეუბანში. სკოლაც იქვე დაამთავრა. ოჯახური წარმომავლობით იგი საბაზისო ფენას მიეკუთვნება. მისი ოჯახი დიდ ფინანსურ და სოციალურ კაპიტალს არ ფლობს, თუმცა, შვილები განათლების მიღებისათვის აუცილებელი საბაზისო პირობებით უზრუნველყო, რისი დამსახურებითაც თინამ და მისმა დედმამიშვილებმა ქვეყნის საზომით კარგი განათლების მიღება მოახერხეს. თინამ გენდერული სოციალიზაციის შესახებ ინფორმაცია ბავშვობიდან მიიღო, მას დაც ჰყავს და ძმებიც. ის ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალები უფრო ბეჯითები და მოწესრიგებულები არიან, როდესაც საქმე განათლებას, მეცადინეობასა და პროფესიულ საქმიანობას ეხება. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჯერ თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც ორჯერ მოიპოვა მაგისტრის წოდება, სხვადასხვა ევროპული ქალაქის უნივერსიტეტებში.

განათლების მიღების თანადროულად იგი კონკურსის, გასაუბრებისა და წერიტი დავალების შესრულების გავლის გზით, ერთ-ერთ სამინისტროში მოხვდა, სადაც გაიარა ყველა საფეხური, დაწყებული მრჩეველიდან, გაგრძელებული უფროსი სპეციალისტის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსობის ჩათვლით. სარგებლობდა კარგი რეპუტაციითა და ნდობით. იგი თვლის რომ კომპეტენტური და საკუთარი საქმის მცოდნე პროფესიონალია, რომელსაც ასაკის მატებასთან ერთად ამბიციაც გაუჩნდა, მაღალი რანგის საჯარო მოხელე გამხდარიყო, რომელიც მისი აზრით, საჯარო სამსახურში არსებული გენდერული უთანასწორობის შედეგად ჩამოუყალიბდა. თინას აზრით, კომპეტენტურ ქალ საჯარო მოხელეს ამბიციაც უჩნდება იმიტომ, რომ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ უხელმძღვანელოს დეპარტამენტს, ან სამსახურს და ამ დროს უფროსად ნიშნავენ ისეთ ადამიანს, რომელსაც ამ კუთხით არ უმუშავია, არ აქვს ცოდნა და მხოლოდ იმიტომ ხდება ხელმძღვანელი, რომ არის კაცი. სწორედ ამ დროს, ქალი საჯარო მოხელე ივიწყებს კულტურისგან ბოძებულ დაბალ თვითმეფასებას და თვლის, რომ თუ არაკომპეტენტური კაცი შეიძლება იყოს სამსახურის უფროსი, მაშინ ისიც წარმატებით გაართმევს იგივე მოვალეობას თავს.

თინას გამოცდილება ორი მიმართულებით არის საინტერესო, **ერთი**, როგორც ახალგაზრდა ქალის, რომელსაც არ აქვს სოციალური კაპიტალი, ძალაუფლება და შეიძლება დაწინაურდეს, დეპარტამენტის უფროსი გახდეს, მაგრამ ამან ემანსიპაციის ნაცვლად მას უფრო მეტი სტრესი და სანერვიულო გაუჩინოს. მისი თქმით, უფროსობა უფრო სტრესი იყო იმიტომ, რომ გაიზარდა მისი პასუხისმგებლობა და ვინაიდან ქალს უფრო კარგი შრომის ეთიკა და მეტი პასუხისმგებლობის განცდა აქვს, უფრო ისტრესება უფროსობის დროს და **მეორე**, როგორც ქალის, რომელიც წესრიგის მოყვარულია და მაღალი შრომის ეთიკა აქვს განვითარებული, რომელსაც ძალიან უჭირს მისი თქმით, ქაოსურ და მოუწესრიგებელ საჯარო სამსახურში მუშაობა, რომელშიც კაცები უკეთ გრძნობენ თავს, ვინაიდან ისინი ნაკლებად პასუხისმგებლიანები არიან და ნაკლებად განიცდიან დაკისრებული მოვალეობების სიმძიმეს.

ისტორია # 4 - მარინა

მარინა პედაგოგისა და ინჟინრის ოჯახში დაიბადა, რეგიონში. ოჯახური წარმომავლობით იგი საბაზისო ფენას მიეკუთვნება. სკოლაც რეგიონში დაამთავრა და უნივერსიტეტიც, რის შემდეგაც სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძო და ამის პარალელურად მუშაობა დაიწყო, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე კერძო კომპანიებში. მალევე კონკურსის, გასაუბრების საშუალებით დასაქმდა საჯარო სამსახურში და გაიარა ყველა საფეხური, დაწყებული უფროსი სპეციალისტობით, დამთავრებული სამსახურის უფროსობით. ამავე პერიოდში მან მოიპოვა დოქტორის ხარისხი და დამატებით აკადემიურ საქმიანობასა და სწავლა/სწავლებას მიჰყო ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ მარინა სამსახურის უფროსი გახდა, მისივე თქმით, ამას მისთვის ძალაუფლებისა და ემანსიპირებულობის განცდა არ მოუტანია, პირიქით, მას პასუხისმგებლობა მოემატა და უფრო მეტად დაქვემდებარებული გახდა დირექტორსა და სხვა უფროსებზე. მისი გამოცდილება საინტერესოა ორი მიმართულებით. **ერთი**, მასთან საუბრისას აღმოვაჩინეთ, რომ საჯარო სამსახურში მუშაობს ე.წ. უხილავი კულტურული პრაქტიკები, მაგალითად გენდერული იერარქია, რომლის გამოც, ყველა შემთხვევაში კაცი უკეთეს პოზიციაშია, ვიდრე ქალი. მაგალითად, საქმის განხილვისას ქალი უნდა ეახლოს კაცს ოთახში და ა.შ. მეორე მიმართულება, რაც მარინასთან საუბრისას გამოვლინდა, არის ის, რომ საჯარო სამსახურში სერვისის მიმწოდებელი არის ქალი, ხოლო შემფასებელი - კაცი. ძირითადი სამუშაო უნდა გააკეთოს ქალმა, შინაარსი, ტექსტის აგება და კაცმა მხოლოდ შეაფასოს, დააკომენტაროს. ისე ჩანს, თითქოს კაცი შეფასების კომპონენტში უფრო ძლიერია, ვიდრე ქალი და მეორე, მისი აზრით, კაცებს უფრო ხშირად ახალისებენ საჯარო სამსახურში, ვიდრე ქალებს. მისი თქმით, ერთი და იგივე შესრულებულ საქმეზე კაცს უბრალო „გაფხლაკუნებაზე“ უფრო ახალისებენ, აქებენ, ხოლო ქალებს მცირე შეცდომაზეც კი სჯიან. მისი თქმით, ეს გარემოება იმ კულტურის ბრალია, რომელშიც ჩვენ ვიზრდებით. ეს კულტურა ქალს მოთმენას დაასწავლის, ხოლო კაცებს - არა. ამიტომ კაცს არ სჯიან, ვერ მოითმენს და იჩხუბებს, წარმოიქმნება კონფლიქტი, რასაც ყველა თავს არიდებს, ქალს კი პირიქით - სჯიან, ქალი მოითმენს, არაფერს დაგიშავებს და ამიტომ შეგიძლია დაჩაგრო.